

## ტერმინალით მომსახურების სტანდარტული პირობები

1. **დეფინიციები**  
თუ **ხელშეკრულებით** სხვა რამ არ არის განსაზღვრული, ან მისი კონტექსტიდან სხვა რამ არ გამომდინარეობს, ქვემოთ მოცემულ დეფინიციებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:
  - 1.1. **ავტორიზაცია - ბარათის** და საბარათე ანგარიშის სტატუსის შემოწმებისა და ოპერაციებზე **ბანკის** მიერ თანხმობის გაცემის პროცედურა.
  - 1.2. **ბანკი** - სს "საქართველოს ბანკი", საიდენტიფიკაციო კოდი: 204378869.
  - 1.3. **ბარათი** - პლასტიკური ბარათი, უნაღდო ანგარიშსწორების საშუალება საგადასახდელი სისტემებისათვის.
  - 1.4. **განაცხადი - კონტრაქტის** მიმართვა **ბანკისადმი** (**ბანკის** მიერ დადგენილი ფორმით), რომ **ბანკმა** განაცხადშივე განსაზღვრული პირობების შესაბამისად, განახორციელოს **ტერმინალით** მომსახურება.
  - 1.5. **მხარე/მხარეები - ბანკი** ან/და **ორგანიზაცია** (კონტექსტის შესაბამისად).
  - 1.6. **ორგანიზაცია** -, ოურიდიული პირ(ებ)ი ან/და სხვა ორგანიზაციული წარმონაქმნ(ებ)ი, რომლებიც ეთანხმებიან **სტანდარტულ პირობებს**;
  - 1.7. **საბანკო დღე** - დღე (შაბათის, კვირის ან საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული ოფიციალური დასვენების დღეების გარდა), როდესაც საქართველოში მოქმედი კომერციული ბანკები ღიაა და წარმართავენ თავიანთ ჩვეულებრივ საქმიანობას.
  - 1.8. **საბარათე ოპერაციები - ბარათის** გამოყენებით და **ტერმინალის** მეშვეობით განხორციელებული უნაღდო ანგარიშსწორების ოპერაცია.
  - 1.9. **სტანდარტული პირობები** - (ა) წინამდებარე სტანდარტული პირობები; (ბ) წინამდებარე სტანდარტული პირობების **დანართი N1** და **დანართი N2**;
  - 1.10. **ტერმინალი** - ავტორიზაციის ჩასატარებელი ელექტრონული მოწყობილობა.
  - 1.11. **ხელშეკრულება** - (ა) **განაცხადი**, (ბ) **სტანდარტული პირობები** და (გ) ნებისმიერი დამატებითი **დანართი** (ასეთის არსებობისას), რომლებიც დაიდო/დაიდება მომავალში **მხარეთა** მიერ წინამდებარე შეთანხმებასთან მიმართებაში, ამგვარ დოკუმენტებში პერიოდულად შეტანილი ცვლილებების და დამატებების ჩათვლით.
2. **ხელშეკრულების საგანი**
  - 2.1. **ბანკი ორგანიზაციას** უზრუნველყოფს **ტერმინალით** (ამასთან, ერთ ობიექტზე **ტერმინალების** რაოდენობა განისაზღვრება **ბანკის** მიერ დადგენილი დოკუმენტებით), რომლის გამოყენებითაც **ორგანიზაცია** საკუთარ კლიენტებს შესთავაზებს მომსახურებას, რომელიც გულისხმობს გაწეული მომსახურების ან/და რეალიზებული საქონლის ღირებულების **ბარათით** მიღებას, რომლის შედეგადაც მიღებულ თანხებს, **ხელშეკრულებით** გათვალისწინებული ფორმითა და პირობებით, **ბანკი** ჩარიცხავს **ორგანიზაციის** ანგარიშზე.
3. **მხარეთა უფლებები და ვალდებულებები**
  - 3.1. **ორგანიზაცია** უფლებამოსილია:
    - 3.1.1. **ბანკს** მოსთხოვოს **ხელშეკრულებით** ნაკისრი ვალდებულებების ჯეროვანი შესრულება.
    - 3.1.2. წერილობითი შეტყობინების საფუძველზე შეაჩეროს ან შეწყვიტოს **ხელშეკრულების** მოქმედება **ბანკის** მიერ **ხელშეკრულებით** ნაკისრი ვალდებულებების უხეში დარღვევისთვის, **ხელშეკრულებით** გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.
  - 3.2. **ორგანიზაცია** ვალდებულია:
    - 3.2.1. **ბანკისგან** ჩაიბაროს **ტერმინალები**.
    - 3.2.2. **ბარათით** ავტორიზაციის ჩატარება მოითხოვოს მხოლოდ ეროვნულ ვალუტაში.
    - 3.2.3. **ბანკისგან** მიღებული სარეკლამო-საინფორმაციო მასალები განათავსოს მხოლოდ **ბანკთან** შეთანხმებულ ადგილებში.
    - 3.2.4. არ გადასცეს მესამე პირებს ინფორმაცია **საბარათე ოპერაციებზე** და არ მისცეს მათ ნება მონავეცები გამოიყენონ **ბანკთან** წინასწარი შეთანხმების გარეშე.
    - 3.2.5. გამოიყენოს **ტერმინალები** და შესაბამისი მასალები მხოლოდ **ხელშეკრულების** მიზნებისათვის და არ დაუშვას მათი დაკარგვა/დაზიანება. **ორგანიზაციის** მიზნებით მათი დაკარგვა/დაზიანების შემთხვევაში **ბანკს** გადაუხადოს **ტერმინალების** და შესაბამისი მასალების ღირებულება, დაზიანება/დაკარგვის ფაქტზე **ბანკის** შესაბამისი მოთხოვნის მიღებიდან 10 (ათი) **საბანკო დღის** განმავლობაში.
    - 3.2.6. **ხელშეკრულების** მოქმედების ვადამდე შეწყვეტის, ან **ხელშეკრულების** მოქმედების დასრულების შემთხვევაში დაუბრუნოს **ბანკს** ტერმინალები **ხელშეკრულების** შეწყვეტიდან ან ვადის დასრულებიდან 10 (ათი) **საბანკო დღის** განმავლობაში. ამ მოთხოვნის შეუსრულებლობის შემთხვევაში **ბანკს** გადაუხადოს დასაბრუნებელი **ტერმინალები** სრული ღირებულება ამ პუნქტში აღნიშნული ზღვრული ვადის გასვლიდან 10 (ათი) **საბანკო დღის** განმავლობაში.
    - 3.2.7. **ბანკის** განსაკუთრებული და ექსკლუზიური უფლების დასაცავად ისარგებლოს მხოლოდ **ბანკის** ამ **ხელშეკრულებაში** გათვალისწინებული მომსახურებით, რაც ამავედროულად გამორიცხავს სხვა ფინანსური ინსტიტუტების და/ან საპროცესინგო ცენტრების ანალოგიური მომსახურებით სარგებლობას.
    - 3.2.8. წინასწარ, გონივრული ვადის დაცვით შეატყობინოს **ბანკს** ნებისმიერი არსებული ან/და მოსალოდნელი ცვლილების შესახებ, რომელიც მნიშვნელოვანია **ხელშეკრულების** მიზნების, **მხარეთა** უფლებების და ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისთვის.
    - 3.2.9. **საბარათე ოპერაციების** განხორციელებისას **ბარათის** ყველა ტიპს მიანიჭოს თანაბარი ძალა, რაც ყოველგვარი ეჭვის გარეშე გულისხმობს იმას, რომ **ორგანიზაცია** ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე მიიღებს კლიენტის მიერ წარდგენილ ნებისმიერი ტიპის **ბარათს**.
    - 3.2.10. არ გააკეთოს განცხადებები, საჯარო გამოსვლები და არანაირი მინიშნება იმის თაობაზე, რომ რომელიმე ტიპის **ბარათს** გააჩნია უპირატესობა სხვა ტიპის **ბარათთან** მიმართებაში.
    - 3.2.11. არ დააწესოს ისეთი დამატებითი პირობები და შეზღუდვები რომელიმე ტიპის **ბარათის** გამოყენებაზე, რომლებიც არ არის დაწესებული სხვა დანარჩენი ტიპის **ბარათებზე**.
    - 3.2.12. არ მოითხოვოს **ბარათის** მფლობელისაგან მისი პირადი რეკვიზიტები (ტელეფონის ნომერი, მისამართი და სხვ.), როგორც **ბარათის** მიღების აუცილებელი პირობა, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც **ავტორიზაციისას ბანკი** მოითხოვს აღნიშნულ ინფორმაციას.
    - 3.2.13. კლიენტს არ მოსთხოვოს ან/და თავად არ გადაიღოს **ბარათის** ასლი.
    - 3.2.14. გარდა ტექნიკური შეფერხებით გამოწვეული მიზეზებისა, კლიენტს არ განუცხადოს უარი **საბარათე ოპერაციის** შესრულებაზე.
    - 3.2.15. არ დაჟოს გაწეული მომსახურების სანაცვლოდ მისაღები თანხა იმ განზრახვით, რომ თავიდან აიცილოს **ბანკის** მიერ წინასწარ განსაზღვრული ლიმიტის გადაჭარბება.
    - 3.2.16. შეინახოს ელექტრონული ქვითრები და გადასცეს **ბანკს** წერილობითი მოთხოვნისაგან 2 (ორი) **საბანკო დღის** ვადაში.
    - 3.2.17. **საბარათე ოპერაციები** განახორციელოს **ხელშეკრულების** დანართი #2-ით განსაზღვრული პირობების შესაბამისად.
    - 3.2.18. არ გააძვიროს გასაწევი მომსახურების ან/და სარეალიზაციო **საქონლის** ღირებულება იმის გამო, რომ **ბარათის** ნებისმიერი მფლობელი გამოთქვამს სურვილს გამოიყენოს **ტერმინალი**, როგორც გაწეული მომსახურების ან/და რეალიზებული **საქონლის** ღირებულების გადახდის საშუალება.
    - 3.2.19. **ბანკის** წინასწარი წერილობით თანხმობის გარეშე არ გადასცეს **ხელშეკრულებიდან** გამომდინარე უფლება-მოვალეობა მესამე პირს.
    - 3.2.20. **ბანკის** მოთხოვნის შემთხვევაში წარმოადგინოს ინფორმაცია ნებისმიერ ბანკში არსებული საკუთარი ანგარიშების შესახებ.
  - 3.3. **ბანკი** უფლებამოსილია:
    - 3.3.1. **ორგანიზაციას** მოსთხოვოს **ხელშეკრულებით** ნაკისრი ვალდებულებების ჯეროვანი შესრულება.
    - 3.3.2. არ განახორციელოს **საბარათე ოპერაცია**, **ორგანიზაციის** მიერ **ხელშეკრულების** დანართი #2-ში მოცემული ინსტრუქციების და წესების დარღვევის შემთხვევაში.
    - 3.3.3. **ორგანიზაციას** მოსთხოვოს **ტერმინალის** ელექტრონული ქვითრების წარმოდგენა, **ბანკის** მიერ განსაზღვრული პირობების შესაბამისად.
    - 3.3.4. **ორგანიზაციის** წინასწარი თანხმობის გარეშე, **ხელშეკრულებიდან** გამომდინარე ნებისმიერი უფლება-მოვალეობა სრულად ან/და ნაწილობრივ გადასცეს მესამე პირს.
  - 3.4. **ბანკი** ვალდებულია:
    - 3.4.1. უზრუნველყოს **ავტორიზაციის** შეუფერხებლად ჩატარება 24 (ოცდაოთხი) საათის განმავლობაში, როგორც **საბანკო დღეს**, ისე არასაბანკო დღეებში.
    - 3.4.2. წინასწარ, გონივრული ვადის დაცვით შეატყობინოს **ორგანიზაციას** ნებისმიერი არსებული ან/და მოსალოდნელი ცვლილების შესახებ, რომელიც მნიშვნელოვანია **ხელშეკრულების** მიზნების, **მხარეთა** უფლებების და ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისთვის.
    - 3.4.3. ნებისმიერ დროს, **ორგანიზაციის** თანხმობის გარეშე, შეეცვალოს **ხელშეკრულების** დანართი #2-ით განსაზღვრული პირობები.
4. **მომსახურების გაწევისთვის დაწესებული ბანკის საკომისიო და ანგარიშსწორება**
  - 4.1. **ბანკის** მიერ **ორგანიზაციიდან** მისაღები საკომისიოს ანგარიშსწორების პირობები განისაზღვრება **ხელშეკრულების** დანართი #1-ით.
  - 4.2. **მხარეთა** შორის ანგარიშსწორება წარმოებს უნაღდო ანგარიშსწორების წესით.

- 4.3. **ხელშეკრულებით** განსაზღვრული ნებისმიერი სახის ფულადი ვალდებულება, გარდა მომსახურების საფასურისა, უნდა შესრულდეს (გადახდოს უნდა იქნეს) ფულადი ვალდებულების წარმოშობის თარიღიდან (ვალდებულების შესრულების ვადაგადაცილების დღიდან, პირგასამტეხლოს მოთხოვნის დღიდან და სხვა) 10 (ათი) კალენდარული დღის ვადაში. ამასთან, თუ ვალდებულების შესრულების (გადახდის) დღე დაემთხვა არასამუშაო ან გამოსასვლელ დღეს, ამ დღის ნაცვლად გამოიყენება მომდევნო **საბანკო დღე**.
- 4.4. ანგარიშსწორება განხორციელდება საქართველოს ეროვნულ ვალუტაში, გადახდის დღეს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური კურსის შესაბამისად.
- 4.5. უნაადლო ანგარიშსწორებისას თანხები უნდა ჩაირიცხოს შესაბამისი **მხარის ხელშეკრულებით** განსაზღვრულ საბანკო ანგარიშზე ან **მხარეთა** მიერ დამატებით შეთანხმებულ სხვა საბანკო ანგარიშზე.
- 5. პასუხისმგებლობა**
  - 5.1. **ხელშეკრულებით** განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში, **მხარეები** პასუხს აგებენ საქართველოს კანონმდებლობით და ამ **ხელშეკრულებით** გათვალისწინებული პირობებით და წესით. თითოეული **მხარე**, ვალდებულია მეორე **მხარეს** აუნაზღაუროს ვალდებულებების შეუსრულებლობით ან არაჯეროვნად შესრულებით გამოწვეული ნებისმიერი პირდაპირი თუ არაპირდაპირი ზიანი.
  - 5.2. **ბანკი** პასუხს არ აგებს **ორგანიზაციასა** და **ზარათის** მფლობელს შორის წამოჭრილ დავაზე, თუ ეს დავა არ ეხება **ხელშეკრულების** საგანს.
  - 5.3. **ორგანიზაციის** მიერ **ხელშეკრულებით** ნაკისრი ნებისმიერი ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში დააკისროს **ორგანიზაციას** პირგასამტეხლო 1000 (ათასი) ლარის ოდენობით და აღნიშნული თანხა დააკავოს მომდევნო ანგარიშსწორების თარიღიდან და/ან ჩამოაწეროს **ორგანიზაციის** ანგარიშიდან, თუ **ხელშეკრულებით** სხვა პირობა არ არის განსაზღვრული.
  - 5.4. **ორგანიზაციის** მიერ:
    - 5.4.1. **სტანდარტული პირობების** 3.2.7. ქვეპუნქტით განსაზღვრული ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში, **ბანკი** უფლებამოსილია დააკისროს, ხოლო ასეთ შემთხვევაში **ორგანიზაცია** ვალდებულია გადაიხადოს პირგასამტეხლო, ზოლო სამი თვის განმავლობაში ჩატარებული ოპერაციების შედეგად პლასტიკური ბარათებით გადახდების თანხების (რაც გულისხმობს ნებისმიერი ტერმინალითა და ბარათის მეშვეობით განხორციელებული ოპერაციების ჯამურ თანხას) ხუთმაგი ოდენობით, რომელიც არ შეიძლება იყოს **ორგანიზაციისთვის** გადაცემული **ტერმინალების** გადაცემის მომენტში არსებული ღირებულების ხუთმაგი ოდენობაზე ნაკლები.
    - 5.4.2. **სტანდარტული პირობების** 3.2.14. ქვეპუნქტით განსაზღვრული ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში, **ბანკი** უფლებამოსილია დააკისროს, ხოლო ასეთ შემთხვევაში **ორგანიზაცია** ვალდებულია გადაიხადოს პირგასამტეხლო, 300 (სამასი) ლარის ოდენობით თითოეულ დარღვევაზე.
    - 5.4.3. **სტანდარტული პირობების** 3.2.18. ქვეპუნქტით განსაზღვრული ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში, **ბანკი** უფლებამოსილია დააკისროს, ხოლო ასეთ შემთხვევაში **ორგანიზაცია** ვალდებულია გადაიხადოს პირგასამტეხლო, **ორგანიზაციისთვის** გადაცემული **ტერმინალების** გადაცემის მომენტში არსებული ღირებულების, ხუთმაგი ოდენობით.
    - 5.4.4. **ხელშეკრულების** გადაზე ადრე შეწყვეტის შემთხვევაში (გარდა 6.1 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევებისა), **ბანკი** უფლებამოსილია დააკისროს, ხოლო ასეთ შემთხვევაში **ორგანიზაცია** ვალდებულია გადაიხადოს პირგასამტეხლო, **ორგანიზაციისთვის** გადაცემული **ტერმინალების**, გადაცემის მომენტში არსებული ღირებულების, ექვსმაგი ოდენობით.
  - 5.5. მიუხედავად **სტანდარტული პირობების** 5.1, 5.3 და 5.4 პუნქტებით განსაზღვრული გარანტიებისა, **ორგანიზაციის** მიერ **ხელშეკრულებით** ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულების უზრუნველსაყოფად და შესაბამისად **ბანკის** უფლებებისა და მოთხოვნების უზრუნველყოფის მიზნით, **ორგანიზაცია** აცხადებს წინასწარ თანხმობას **ბანკის** სრულ უფლებამოსილებაზე, საკუთარი შეხედულებისამებრ:
    - 5.5.1. მომდევნო ანგარიშსწორების თარიღიდან დააკავოს **ბანკის** მიერ **ორგანიზაციის** ანგარიშზე ადრე ჩაირიცხული თანხები, რომლებიც საერთაშორისო საგადასახადო სისტემების წესების მიხედვით წარმოადგენს დავის საგანს. დაკავება განხორციელოს იმ შემთხვევაშიც, თუ **ორგანიზაციას** იმ მომენტისათვის არ გააჩნია შესაბამისი სახსრები და ამ შემთხვევაში წარმოქმნილი დავალიანების დაფარვა სრულად ეკისრება **ორგანიზაციას**.
    - 5.5.2. არ გადაუხადოს ან/და მომდევნო ანგარიშსწორებიდან დააკავოს **ორგანიზაციისათვის ხელშეკრულებით** გათვალისწინებული გადასახდელი (მომსახურების საკომისიო და სხვა), რაც შესაბამისი მოცულობით ჩაითვლება (გაიქვითება) **ორგანიზაციის** მიერ **ბანკისათვის ხელშეკრულებით** გათვალისწინებული გადასახდელის (პირგასამტეხლო, ზიანის (ზარალის) ანაზღაურება და სხვა) ანგარიშში.
    - 5.5.3. **ორგანიზაციის** ნებისმიერი სახის ანგარიშიდან უაქცეპტოდ ჩამოწეროს ყველა გადასახდელი, ხოლო თუ გადასახდელი და ანგარიშზე რიცხული თანხა სხვადასხვა ვალუტაშია, **ბანკმა** თავად განახორციელოს კონვერტაცია გადახდის თარიღისათვის მასთან მოქმედი კომერციული კურსით, ხოლო კონვერტაციის მომსახურების ღირებულება ასევე უაქცეპტოდ ჩამოწეროს ანგარიშიდან, კონვერტირებული თანხა კი მიმართოს შესაბამისი გადასახდელის დასაფარად.
- 6. მოქმედების ვადა**
  - 6.1. **ხელშეკრულება** ძალაში შედის **მხარეთა** ხელმოწერის მომენტისა და მოქმედებს **მხარეთა** მიერ **შეთანხმებით** ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულებამდე;
  - 6.2. თუ **ხელშეკრულების** ვადის ამოწურვამდე სამი თვით ადრე ერთ-ერთი **მხარე** მეორე **მხარეს** წერილობით არ აცნობებს **ხელშეკრულების** შეწყვეტის სურვილის შესახებ, ოგი ავტომატურად გაგრძელდება ოივე ვადით.
  - 6.3. **ხელშეკრულება** შესაძლებელია შეწყდეს შემდეგ შემთხვევებში:
    - 6.3.1. **ხელშეკრულების** ვადის გასვლის გამო.
    - 6.3.2. **მხარეთა** წერილობითი შეთანხმებით.
    - 6.3.3. **ხელშეკრულებით** გათვალისწინებული ფორს-მაჟორული გარემოების 45 (ორმოცდახუთი) კალენდარულ დღეზე მეტი ხნით არსებობის შემთხვევაში.
    - 6.3.4. **ორგანიზაციის** მიერ, **ბანკისთვის** არანაკლებ 90 (ოთხმოცდაათი) დღით ადრე გაგზავნილი წერილობითი შეტყობინებით, იმ შემთხვევაში, თუ **ბანკი** არღვევს **ხელშეკრულებით** ნაკისრ რომელიმე ვალდებულებას და ამგვარი დარღვევა არ გამოწერა **ორგანიზაციის** წერილობითი შეტყობინებიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის ვადაში.
    - 6.3.5. **ბანკის** მიერ, **ორგანიზაციისთვის** არანაკლებ 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღით ადრე გაგზავნილი წერილობითი შეტყობინებით. ამასთან, **ბანკი** უფლებამოსილია შეწყვიტოს **ხელშეკრულება** უფრო მოკლე ვადაში გაცემული შეტყობინებითაც, თუ **ორგანიზაცია** არღვევს **ხელშეკრულებით** ნაკისრ რომელიმე ვალდებულებას.
    - 6.3.6. კანონით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.
- 7. მხარეთა განცხადებები და გარანტიები**
  - 7.1. **მხარეები** აცხადებენ და იძლევიან გარანტიას, რომ:
    - 7.1.1. ჩამოყალიბებულნი არიან საქართველოში მოქმედ კანონმდებლობასთან სრულ შესაბამისობაში.
    - 7.1.2. აქვთ სრული უფლებამოსილება ხელი მოაწერონ **ხელშეკრულებას**.
    - 7.1.3. **ხელშეკრულების** ხელმოწერა და **ხელშეკრულებით** გათვალისწინებული მოქმედებების შესრულებით არ არღვევენ ან/და არ დაარღვევენ მოქმედ კანონმდებლობას, საკუთარ წესდებას ან/და სხვა ნებისმიერ მარეგულირებელ დოკუმენტს.
- 8. ფორს-მაჟორი**
  - 8.1. **მხარეები** თავისუფლდებიან **ხელშეკრულებით** გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობით ან არაჯეროვანი შესრულებით გამოწვეული პასუხისმგებლობისგან იმ შემთხვევაში, თუ დამტკიცდა, რომ ვალდებულებების შეუსრულებლობა ან არაჯეროვანი შესრულება განპირობებული იყო დაუძლეველი ძალის (სტიქიური უბედურება, საგანგებო ან საომარი მდგომარეობა, სამოქალაქო მდგომარეობა, გაფიცვა, აგრეთვე მთავრობის მხრიდან ისეთი ნორმატიული ან ადმინისტრაციული შეზღუდვის დადგენა, რომელიც ზეგავლენას ახდენს ვალდებულების შესრულებაზე) ანუ კონკრეტულ პირობებში საგანგებო, გადაუღალავი და გარდაუვალი მოქმედებით.
  - 8.2. **მხარეები** ვალდებული არიან დაუყოვნებლივ, წერილობით შეატყობინონ ერთმანეთს ფორს-მაჟორული გარემოების დადგომის და დასრულების შესახებ.
- 9. კონფიდენციალობა**
  - 9.1. **ხელშეკრულების** თითოეული **მხარე** იღებს ვალდებულებას დაიცვას და არ გახმაუროს **ხელშეკრულებიდან** (გარდა **სტანდარტული პირობებისა**) გამომდინარე ინფორმაცია მეორე **მხარის** წერილობითი თანხმობის გარეშე, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.
- 10. დავების გადაწყვეტა**
  - 10.1. **ხელშეკრულება** რეგულირდება და განიმარტება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

- 10.2. **მხარეები** მიიღებენ ყველა ზომას, რათა მოლაპარაკების გზით გადაჭრილი იქნას ნებისმიერი დავა თუ უთანხმოება, რომელიც შეიძლება წარმოიშვას **ხელშეკრულებიდან** გამომდინარე.
- 10.3. **მხარის** პრეტენზია, მეორე **მხარის** მიერ განიხილება, მისი წერილობით ფორმით მიღებიდან 10 (ათი) დღის განმავლობაში.
- 10.4. იმ შემთხვევაში, თუ **მხარეები** ვერ შეთანხმდებიან მოლაპარაკების გზით, მაშინ დავა განიხილება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
- 11. დასკვნითი დებულებები**
- 11.1. **ხელშეკრულება** შედგენილია ქართულ ენაზე. თუ რომელიმე **მხარემ** არ იცის ქართული ენა ან/და მისი დამწერლობა, ან **მხარეებს** ან ერთ-ერთ **მხარეს** სურს, მაშინ **ხელშეკრულება** შესაძლოა შედგეს და დაიდოს ასევე **მხარეთათვის** მისაღებ სხვა ენაზეც. **ხელშეკრულების** ინტერპრეტაციისას უპირატესობა ენიჭება ქართულ ენაზე შედგენილ ტექსტს. აღნიშნული ნორმები ვრცელდება, ასევე, **მხარეთა** შორის ურთიერთობაზე ან/და **ხელშეკრულების**, თუ ნებისმიერი სხვა დოკუმენტის შედგენასა თუ ინტერპრეტაციაზე.
- 11.2. **ხელშეკრულების** რომელიმე მუხლის ან/და პუნქტის საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე ბათილობის შემთხვევაში დანარჩენი მუხლები ან/და პუნქტები ინარჩუნებენ იურიდიულ ძალას, ხოლო ბათილი მუხლის ან/და პუნქტის ნაცვლად კი მოქმედებს ისეთი მუხლი ან/და პუნქტი, რომლითაც ადვილად მიიღწევა **ხელშეკრულების** მიზანი.
- 11.3. **ხელშეკრულებაში** და მის დანართ(ებ)ში ცვლილებების და დამატებების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, რომელიც ძალაში შევა **მხარეთა** მიერ ხელმოწერის მომენტიდან.
- 11.4. **ბანკი** უფლებამოსილია ნებისმიერ დრო, ცალმხრივად შეცვალოს **სტანდარტული პირობები**.
- 11.5. **ხელშეკრულების** დანართებზე სრულად ვრცელდება **ხელშეკრულების** მუხლ(ებ)ის, პუნქტ(ებ)ის და ქვეპუნქტ(ებ)ის მოქმედება. ამასთან, **ხელშეკრულების** და **დანართის** პირობებს შორის წინააღმდეგობის ან შეუსაბამობის არსებობისას, უპირატესობა მიენიჭება დანართით განსაზღვრულ პირობებს.

## ტერმინალით მომსახურების სტანდარტული პირობების დანართი N1

1. მომსახურების გაწევისთვის დაწესებული **ბანკის** საკომისიო:

დამატებული ღირებულების გადასახადი:

საკომისიო მოიცავს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ დამატებული ღირებულების გადასახადს;

სხვა გადასახადები და გადასახდელები:

საკომისიო მოიცავს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა სახის გადასახდელს და გადასახადს;

გადახდის პირობები:

საკომისიოს დაკავება/უაქცეპტოდ ჩამოჭრა განხორციელდება **ბანკის** შეხედულებისამებრ.

## ტერმინალით მომსახურების სტანდარტული პირობების დანართი N2

Eurocard/Mastercard, VISA, Georgian Card **ზარათის** მომსახურების ინსტრუქცია და უსაფრთხოების ზომები:

1. **ზარათის** იდენტიფიკაცია:
  - 1.1. Eurocard/Mastercard **ზარათს** აქვს შემდეგი დიზაინი:
    - 1.1.1. **ზარათის** წინა მხარეზე გამოსახულია:
      - 1.1.1.1. სისტემის დამცავი ჰოლოგრამა, რომელიც წარმოადგენს დედამიწის ორ ურთიერთგადასაკმე ნახევარსფეროს. მის ქვემოთ მოთავსებულია სისტემის ლოგოტიპი.
      - 1.1.1.2. **ზარათის** შუაში ემბოსირებული (რელიეფური ბეჭდვით შესრულებული) 16 ციფრისანი **ზარათის** ნომერი (ოთხ ციფრისანი ოთხი ჯგუფი). **ზარათის** ნომერი ყოველთვის იწყება ციფრით „5“.
      - 1.1.1.3. **ზარათის** ნომრის ქვევით ემბოსირებულია ბანკის საიდენტიფიკაციო 4 ციფრისანი ნომერი.
      - 1.1.1.4. მოქმედების ვადა, რომელიც ემბოსირებულია **ზარათის** ნომრის ქვეშ. თუ მოქმედების ვადაში მითითებულია მხოლოდ თვე და წელი, **ზარათი** მოქმედებს თვის ბოლო რიცხვამდე.
      - 1.1.1.5. **ზარათის** მოქმედების ვადის გვერდით ემბოსირებულია ნიშანი, რომელიც წარმოადგენს ორი ასო "M"-ის და "C"-ის გაერთიანებას.
      - 1.1.1.6. **ზარათის** მფლობელის სახელი და გვარი, რომელიც ემბოსირებულია მოქმედების ვადის ქვეშ.
      - 1.1.1.7. "M" და "C" ასოები **ზარათის** მარჯვენა და მარცხენა ქვედა კუთხეში, მისი ულტრაისფერ სხივებში გატარებისას.
    - 1.1.2. **ზარათის** უკანა მხარეს გამოსახულია:
      - 1.1.2.1. მაგნიტური ზოლი, **ზარათის** ზედა ნაწილში.
      - 1.1.2.2. ხელმოწერის ნიმუშის ზოლი, რომელზეც სამ ფერში (წითელი, ლურჯი, ყვითელი) 45 გრადუსიანი კუთხით დახრილად აქვს წარწერა Mastercard და რომელზედაც **ზარათის** მფლობელი ხელს აწერს მისი მიღების დროს. ხელმოწერა შესრულებული უნდა იყოს გარკვევით, ბურთულიანი კალმით.
      - 1.1.2.3. Mastercard-ის ლოგოტიპი **ზარათის** ქვედა ნაწილში.
    - 1.2. **VISA ზარათს** აქვს შემდეგი დიზაინი:
      - 1.2.1. **ზარათის** წინა მხარეზე გამოსახულია:
        - 1.2.1.1. სისტემის ჰოლოგრამა, რომელიც წარმოადგენს მტრედის გამოსახულებას. მის ქვემოთ მოთავსებულია სისტემის ლოგოტიპი.
        - 1.2.1.2. **ზარათის** შუაში ემბოსირებული (რელიეფური ბეჭდვით შესრულებული) 16 ან 13 ციფრისანი **ზარათის** ნომერი (ოთხ ციფრისანი ოთხი ჯგუფი ან შემდეგი განაწილებით 4, 3, 3, 3), **ზარათის** ნომერი ყოველთვის იწყება ციფრით „4“.
        - 1.2.1.3. **ზარათის** ნომრის ზევით 4 ციფრისანი ნომერი, რომელიც წარმოადგენს ბანკის საიდენტიფიკაციო ნომერს (იგი ყოველთვის ემთხვევა **ზარათის** პირველ ოთხ ციფრს).
        - 1.2.1.4. მოქმედების ვადა, რომელიც ემბოსირებულია **ზარათის** ნომრის ქვეშ. თუ მოქმედების ვადაში მითითებულია მხოლოდ თვე და წელი, **ზარათი** მოქმედებს თვის ბოლო რიცხვამდე.
        - 1.2.1.5. **ზარათის** მოქმედების ვადის გვერდით ემბოსირებულია ნიშანი "V", რომლის ერთი გვერდი არის ვერტიკალური, ხოლო მეორე გვერდი დახრილია 45 გრადუსიანი კუთხით.
        - 1.2.1.6. **ზარათის** მფლობელის სახელი და გვარი, რომელიც ემბოსირებულია მოქმედების ვადის ქვეშ.
        - 1.2.1.7. მტრედის გამოსახულება **ზარათის** ცენტრში, მისი ულტრაისფერ სხივებში გატარებისას.
      - 1.2.2. **ზარათის** უკანა მხარეს გამოსახულია:
        - 1.2.2.1. მაგნიტური ზოლი, **ზარათის** ზედა ნაწილში.
        - 1.2.2.2. ხელმოწერის ნიმუშის ზოლი, რომელზეც ლურჯ ფერად 45 გრადუსიანი კუთხით დახრილად აქვს წარწერა VISA და რომელზედაც **ზარათის** მფლობელი ხელს აწერს მისი მიღების დროს. ხელმოწერა შესრულებული უნდა იყოს გარკვევით, ბურთულიანი კალმით.
        - 1.2.2.3. VISA-ს ლოგოტიპი **ზარათის** ქვედა ნაწილში.
    - 1.3. **Georgian Card-ის ზარათს** აქვს შემდეგი დიზაინი:
      - 1.3.1. **ზარათის** წინა მხარეს გამოსახულია:
        - 1.3.1.1. ემბოსირებული (რელიეფური ბეჭდვით შესრულებული) 16 ციფრისანი **ზარათის** ნომერი (ოთხ ციფრისანი ოთხი ჯგუფი), **ზარათის** ნომერი ყოველთვის იწყება ციფრით „6“.
        - 1.3.1.2. **ზარათის** მოქმედების ვადა, რომელიც ემბოსირებულია **ზარათის** ნომრის ქვეშ. თუ მოქმედების ვადაში მითითებულია მხოლოდ თვე და წელი, **ზარათი** მოქმედებს თვის ბოლო რიცხვამდე.
        - 1.3.1.3. **ზარათის** მფლობელის სახელი და გვარი, რომელიც ემბოსირებულია მოქმედების ვადის ქვეშ.
        - 1.3.1.4. "G" და "C" ასოები **ზარათის** ცენტრში მისი ულტრაისფერ სხივებში გატარებისას.
      - 1.3.2. **ზარათის** უკანა მხარეს გამოსახულია:
        - 1.3.2.1. მაგნიტური ზოლი, **ზარათის** ზედა ნაწილში.
        - 1.3.2.2. ხელმოწერის ნიმუშის ზოლი, რომელზედაც **ზარათის** მფლობელი ხელს აწერს მისი მიღების დროს. ხელმოწერა შესრულებული უნდა იყოს გარკვევით, ბურთულიანი კალმით.
        - 1.3.2.3. Georgian Card-ის ლოგოტიპი **ზარათის** ქვედა ნაწილში.
2. **ორგანიზაცია** ვალდებულია:
  - 2.1. **ზარათთან** ან **ზარათის** მფლობელთან მიმართებაში რაიმე ეჭვის შეტანის შემთხვევაში, მოსთხოვოს **ზარათის** მფლობელს პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი. **ზარათზე** არსებული მფლობელის სახელი და გვარი უნდა დაემთხვევს წარმოდგენილი დოკუმენტის მონაცემებს, ხოლო მფლობელის გარეგნობა უნდა შეესაბამებოდეს დოკუმენტში არსებულ ფოტოსურათს, წინააღმდეგ შემთხვევაში **ზარათი** გადახდისთვის არ მიიღება.
  - 2.2. **ზარათი** ლარზე მუშაობს და იღობს მფლობელის საპირდაპირ მოსთხოვოს **ზარათის** მფლობელს პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი. **ზარათზე** არსებული მფლობელის სახელი და გვარი უნდა დაემთხვევს წარმოდგენილი დოკუმენტის მონაცემებს, ხოლო მფლობელის გარეგნობა უნდა შეესაბამებოდეს დოკუმენტში არსებულ ფოტოსურათს. აუცილებელია ჩვეის უკანა მხარეს კალმით ჩაიწეროს **ზარათის** მფლობელის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის (პასპორტის) ნომერი, **ზარათის** პირველი 4 ციფრი და მოლარის ხელმოწერა.
3. ჩვეის შევსება და **ავტორიზაცია**:
  - 3.1. **ტერმინალით საზარათე ოპერაციის** ჩატარების დროს საჭიროა, **ზარათი** გაატაროთ **ტერმინალში**, კლავიატურის მეშვეობით მიუთითოთ **საზარათე ოპერაციის** თანხა და დაელოდეთ საავტორიზაციო ცენტრიდან პასუხს.
  - 3.2. დადებითი პასუხის შემთხვევაში **ტერმინალი** ბეჭდავს ჩვეს, რომელზეც **ზარათის** მფლობელი აკეთებს ხელმოწერას, უარყოფითი პასუხის შემთხვევაში კი ეკრანზე გამოჩნდება შესაბამისი შეტყობინება. ამასთან, ზემოაღნიშნული ხელმოწერის ვალდებულება არ ვრცელდება ე.წ. ჩიპური **ზარათებით** ანგარიშსწორებისას.
  - 3.3. **ტერმინალიდან** ჩვეის ამობეჭდვის შემდგომ დარწმუნდით, რომ ჩვეზე დაბეჭდილი **ზარათის** ნომერი ემთხვევა **ზარათზე** არსებულ (ემბოსირებულ) **ზარათის** ნომერს (პირველი 6 ციფრი და ბოლო 4 ციფრი). თუ **ზარათზე** ემბოსირებული ნომერი არ ემთხვევა ჩვეზე დაბეჭდილ ნომერს, **ზარათი** გადახდისათვის არ მიიღება და აუცილებელია დაუყოვნებლივ დაუკავშირდეთ **ბანკს** და შეასრულოთ მისი მომდევნო ინსტრუქციები.
  - 3.4. **ავტორიზაციის** კოდის მიღების შემდეგ **საზარათე ოპერაცია** შეიძლება ჩაითვალოს დამთავრებულად. **ზარათის** მფლობელს სთხოვთ ხელი მოაწეროს ჩვეზე, მისთვის გამოყოფილ სპეციალურ გრაფაში. ამასთან **ზარათი** იქონიერ თქვენ და თვალყურს ადევნეთ, თუ როგორ აწერს ხელს **ზარათის** მფლობელი. ჩვეზე გაკეთებული ხელმოწერა იდენტური უნდა იყოს **ზარათის** მეორე მხარეს გაკეთებული ხელმოწერის ნიმუშისა. როცა დარწმუნდებით ხელმოწერების იდენტურობაში, გადაეცით კლიენტს საჭიროებელი, **ზარათი** და ჩვეის მეორე პირი.
4. **ავტორიზაციის** გაუქმება:
  - 4.1. **ტერმინალის** საშუალებით ბოლოს განხორციელებული **ავტორიზაციის** გაუქმება შესაძლებელია ასევე მისი დახმარებით (კლავიში CANCEL და შემდეგ OK).
  5. **ზარათის** ამოღება:

- 5.1. ზოგიერთ შემთხვევაში **ავტორიზაციის** პასუხი შეიძლება იყოს ბრძანება წარდგენილი **ბარათის** ამოღებაზე. აცნობეთ ამის შესახებ **ბარათის** მფლობელს და დაიტოვეთ **ბარათი** თქვენთან. ურჩიეთ კლიენტს მიმართოს ემიტენტ-ბანკს. ასეთ შემთხვევაში, გადაჭერით **ბარათი** მაკრატლით მთელ სიგრძეზე **ბარათის** ნომრის ზემოთ ჰოლოგრამამდე, მაგრამ ისე, რომ ჰოლოგრამა, **ბარათის** ნომერი და მაგნიტური ზოლი არ დააზიანოთ და შეავსეთ აქტი **ბარათის** ამოღებაზე.
- 5.2. ამოღებული **ბარათი** შევსებულ აქტთან ერთად უნდა გადაეცეს **ბანკს 3 (სამი) საბანკო დღის** განმავლობაში **ბარათის** ამოღების დღიდან.
- 5.3. **ბარათის** ამოღების საფუძველად ითვლება:
- 5.3.1. **ავტორიზაციის** ცენტრიდან მიღებული ბრძანება **ბარათის** ამოღებაზე.
- 5.3.2. თუ **ბარათი** არ არის წარმოდგენილი მისი კანონიერი მფლობელის მიერ.
- 6. ბარათით** ჩატარებული არაკანონიერ ქმედებაში იგულისხმება:
- 6.1. მესამე პირის **ბარათის** გამოყენება.
- 6.2. თაღლითურად მოპოვებული ჩეკების (სლიპების) გამოყენება.
- 6.3. **ავტორიზაციის** კოდის ფალსიფიცირება.
- 6.4. კანონიერი მფლობელის მიერ **ბარათის** არასწორი გამოყენება.
- 7. საბარათო ოპერაციის** ჩატარებისას **ორგანიზაცია** ვალდებულია იხელმძღვანელოს შემდეგი წესებით:
- 7.1. შეამოწმოს მოქმედების ვადა.
- 7.2. შეამოწმოს, რომ **ბარათი** შეესაბამება მოცემული საგადასახადო სისტემის სტანდარტებს და მისი მოქმედება არ შემოისაზღვრება **ბარათზე** მითითებული ერთი ქვეყნით (Valid only in ----).
- 7.3. შეამოწმოს, რომ **ბარათი** არ არის დაზიანებული.
- 7.4. შეამოწმოს **ბარათზე** მფლობელის ხელმოწერის ნიმუშის არსებობა. **ბარათი**, რომელზეც არ არის ხელმოწერის ნიმუში, გადახდისათვის არ მიიღება.
- 7.5. შეამოწმოს, რომ ჩეკზე (სლიპზე) შესრულებული ხელმოწერა მსგავსია **ბარათზე** ხელმოწერის ნიმუშისა.
- 7.6. უზრუნველყოს, რომ **საბარათო ოპერაციის** ჩატარების განმავლობაში **ბარათი** და წარმოდგენილი დოკუმენტი იყოს სხვა მოლარესთან და სხვა კლიენტისაგან მიუწვდომელ ადგილას.
- 7.7. უზრუნველყოს, რომ ჩეკის მეორე მხარეს მიეწეროს **ბარათის** მფლობელის სახელი და გვარი, პირადი ნომერი.
- 7.8. მცირეოდენი ეჭვის აღძვრისას **ბარათის** არაკანონიერ მფლობელობაზე ან/და **ბარათის** გაყალბებაზე დაუყოვნებლივ დაუკავშირდეს **ბანკს** და შეასრულოს მისი მომდევნო ინსტრუქციები.